

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ ივლისი, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქ. ბათუმში, ინასარიძის ქუჩის ლებ და მარია კაჩინსკების ქუჩამდე
გაგრძელებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების
დამტკიცების შესახებ

„საქართველოს კონსტიტუციის“, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. მოწონებული იქნას ქ. ბათუმში, ინასარიძის ქუჩის ლებ და მარია კაჩინსკების ქუჩამდე გაგრძელების მშენებლობის პროექტი (თან ერთვის).

2. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას დაევალოს „საქართველოს კონსტიტუციის“ და „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება.

3. ინასარიძის ქუჩის ლებ და მარია კაჩინსკების ქუჩამდე გაგრძელების მშენებლობის ზოლში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეებისათვის, ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული, საექსპროპრიაციო ქონების ღირებულების ექსპროპრიატორის მიერ კომპენსაცია განხორციელდეს შეთანხმების საფუძველზე, ძირითადად ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ბინების) სახით, ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრული ღირებულების მიხედვით ტოლფასოვანად.

4. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების შესრულების მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქ. ბათუმში, ინასარიძის ქუჩის ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩამდე
გაგრძელებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებების
დამტკიცების შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების
პროექტი

- ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იგეგმება ინასარიძის ქუჩის ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩამდე გაგრძელების (შეერთების) პროექტის განხორციელება. საკითხთან დაკავშირებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული, ა(ა)იპ „საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო“-ს მიერ მომზადებულია მოსაწყობი ქუჩის წინასწარი პროექტი. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს ქუჩის მოწყობის არეალში მოქცეულ, კერძო და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ათვისებას (მიწის ნაკვეთი, შენობა-ნაგებობა), რაც უნდა განხორციელდეს „საქართველოს კონსტიტუციის“ და „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პროექტი მოიცავს კერძო საკუთრებაში რეგისტრირებულ 10 უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთების - სულ 16809,0 კვმ) ნაწილებს, მათგან 5-ზე განთავსებულია შენობები. ასათვისებელია 7112,0 კვ.მ საერთო ფართის 10 მიწის ნაკვეთი და ორი მესაკუთრის 220,6 კვმ შენობა.

უნდა განხორციელდეს ქ. ბათუმში, ინასარიძის ქუჩის ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩამდე გაგრძელების მშენებლობის მიზნით „საქართველოს კონსტიტუციის“, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული ღონისძიებები.

- ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, ინასარიძის ქუჩის ლეხ და მარია კაჩინსკების ქუჩამდე გაგრძელება-მშენებლობა.

- ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო: ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ნაწილობრივ; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება (ბინები) - ღირებულებით.

- ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

პროექტი გავლენას მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან: „საქართველოს კონსტიტუცია“, „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევის წესის შესახებ“ საქართველოს კანონი; საქართველოს ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი.

- დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურები და ორგანიზაციები.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე